№ 57 მარტი 13, ხუთშაბათი

1886

მარტი 13, ხუთშაბათი № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

14 მარტს

ცირკში დანიშნულია წარმოდგენა

ოდესის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

(2—1)

ტფილისი, 12 მარტს

დღესაც დარჩენილი და ძველ გუჯარებში ყოველთვის ხმარებული სიტყვა «საკომლო», იმისი საბუთია, რომ მამულის ჭერის საქმეშიაც ნიშანში ამოღებული კომლი ყოფილა და სხვა არა რა. «საკომლო» ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც. სხვა-და-სხვა ადგილას ეს «საკომლო» სხვა-და-სხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ოცი, ზოგან ორმოცი და სამოციცა. *) აშკარადა სჩანს, რომ ეგ «საკომლოს» სიდიდე იმაზედ იყო დამოკიდებული,—სად რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო სამსახურის გადასახდელად. იქ, საცა ჰავისა და მიწის თვისება ისეთი იყო, რომ უფრო პირუტყვთ მოშენება ხეირობდა, «საკომლო» დიდი ყოფილა, რადგანაც პირუტყვთ მოშენებას დიდი ადგილი უნდა. საცა პური და სხვა ამ გვარი კარგად მოდიოდა და უმთავრესს წყაროს გლეხის ცხოვრებისას შეადგენდა, იქ პირველზედ ნაკლები იყო. სადაც ყურძენი და ხილეულობა კარგად ხეირობდა და მით ერი თავს ირჩენდა, იქ უფრო ნაკლები ყოფილა. ამ სახით «საკომლო» მთაში ერთის ზომისა იყო, ქართლში მეორისა, კახეთში მესამისა და ესევე სხვა-და-სხვა ადგილას. გუჯარებში ხშირად ნახსენებია, — გიწყალობეთ აქა და აქ ამდენი და ამდენი საკომლო. მაგ აზრითვე ხმარებულია «საკომლო» ნასყიდობისა, გაყრისა და განსამართლების ოქმებში. ცხადია, რომ «საკომლო»—ჩვენის ქვეყნის თვითვეულ მხარისათვის ცალკე—ერთი განსაზღვრული ზომა ყოფილა, ყველასაგან ერთნაირად ცნობილი და ერთნაირად აღიარებული. უწინ სოფელში რომ გეთქვათ: ეს ერთი «საკომლოა», ყველამ იცოდა რაზედ და რამდენზეა ლაპარაკი. ამ სახითაც კომლი ჩვენს სოფელში წარმოადგენდა არამც თუ საზოგადოებრივს სხეულს, არამედ ეკონომიურსაცა. დღესაც ეგრეა, თუმცა სიტყვამ «надѣлъ»-მა მოედანი დააცლევინა «საკომლოსა».

ამ კომლზედ აგებულმა ჩვენებურმა სოფელმა სხვა გზითაც იჩინა თავისი თავისებურობა. ჩვენი ქვეყანა,—უფრო ბევრ-წილად და მომეტებულად, რასაკვირველია, —ჰავითა და დედა-მიწის მომცემლობითა სულ სხვაა და ამ მხრით თითქმის არაფერში ჰგავს რუსეთსა. ამ ჰავისა და მიწის გამო ჩვენებური მიწათ-მფლობელობა სოფლისა სხვა რიგად წარიმართა. ჩვენში ყურძენი და მრავალ-გვარი ხეხილი ჰხარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრე რომ ბევრგან ჩვენის გლეხ-კაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული. ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უგვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც ჩვენებურ გლეხ-კაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თვისი ოფლი მიუდენია და მიუბარებია საშვილი-შვილოდ. ჩვენებურ გლეხ-კაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუზარს თავისი ისტორია აქვს, მართალია, ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა.

ამიტომაც ძნელია ჩვენის გლეხკაცობისათვის ადგილიდამ დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთ-გვარი დანაშაულობა, რომელსაც «бродяжничество» ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს «მკვიდრი» ჰქვიან და არა «დგმური», როგორც ზოგიერთს ენაშია. ჩვენში რომ გლეხ-კაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითვეული ვაზია, თვითვეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული დ ოფლით მორწყული და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია.

ამ გარემოებას სოფლის მამულის მფლობელობაზედ თავისი ზედ-მოქმედება უნდა ექონია. ეგ ზედ-მოქმედება იმაში სჩანს, რომ თუმცა ჩვენს სახასო გლეხობას სასოფლო მამული სოფლისად მიაჩნია საერთოდ და ამ აზრს არა შემთხვევაში არ ეურჩება, მაგრამ ამასთანავე თავისი საკომლო ადგილ-მამული საშვილი - შვილოდ ეგულება. აქ ერთის მხრით საშვილი-შვილოდ გულვება მამულისა და მეორეს მხრით, მამულების დაყოფვა, მაშასადამე თითქმის თავისად არ გამოლოდინება, ერთმანეთს ეპირისპირებიან, ვითარცა წყალი და ცეცხლი. პირველ შეხედვით საოცარია—როგორ მოუთავსებია ჩვენს გლეხ-კაცობას ორი ამისთანა ერთმანეთის დამშრეტი საგანი? მაგრამ აბა ნახეთ რა ჭკვიანურად, რა წინ დახედულობით ერთი მეორესთან მოურიგებია და შეუთვისებია!

ჩვენს გლეხ-კაცობას რომელსაც უწამებია, რომ სოფელი სოფლისაა და ამასთანავე საშვილი-შვილოდ გამოლოდინება მამულისა გულში ჩარჩენია, ვადა არ დაუდვია მიწების დაყოფვისათვის. მამული, მისის ფიქრით, კუთვნილია თვითვეულის კომლისა, ვიდრე სოფელს არ გაუჭირდება და თვითონ სოფელი არ აღიარებს მამულების დაყოფვის საჭიროებას. ეს საჭიროება დამოკიდებულია მეკომურთა გამრავლებაზედ სოფელში და სხვა იმისთანა იშვიად გარემოებაზედ, რომელიც ბუნებითად ძალიან გვიან-გვიან იჩენს თავსა და შორს მერმისს ეკუთვნის. ორმოცი-და-სამოცი წელიწადი გლეხკაცისათვის მთელი საუკუნოებია. თვითონ სიტყვაც «საშვილი-შვილო», გლეხ-კაცისაგან ასე შეყვარებული და ასე ხშირად ხმარებული, სხვა არა არის-რა, გარდა ორის თაობის დროთა სიგრძის აღვნიშვნისა: შვილისა და შვილის-შვილისა, თითქო ამას იქით გლეხკაცის თვალი აღარ სწვდებაო.

ესე არ არის რუსეთში. იქ ყოველს მიჩემებული აქვს მამული ვადით და ეს ვადა წინადვე განსაზღვრულია, წინადვე დადებულია. უფრო ხშირად 10, 12, 15 წლით-წადზედ მეტი არ არის. აქ გამოლოდინება მამულისა საშვილი-შვილოდ ვერ ისადგურებს და ფეხს ვერ მოიკიდებს, იმიტომ—რომ ამ ნაირს მფლობელობას მამულისას წინადვე ცნობილი ვადა აქვს და ისიც მოკლე. ამ მოკლე ვადიანობას მფლობელობისას ერთხმივად უჩივიან რუსეთში როგორც міръ-ის მომხრენი, ისეც მოწინააღმდეგენი. მართალნიც არიან. ადამიანს მამულის საფუძვლიანად გაპატივე-

---

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არსად არ შეგვხვედრია, სადმე «საკომლო» ათს დღიურზედ ნაკლები ყოფილიყოს და სამოცზედ მეტი. ზოგნი ამბობენ, ოთხმოცი დღიურიც ყოფილა თურმე.

ფელეტონი

ზოგიერთი ფიქრი

(ოდესიდამ მოწერილი)

(დასასრული *)

მართალია, თუმცა ადამიანის ბუნების არსების გამოხატვა ძნელია, მაგრამ იმაში კი ეჭვი არ უნდა იყოს, ვგონებ, რომ მას თვით ბუნებისაგან შთანერგილი აქვს ინსტინკტიური ძალა, რომელიც მიეზიდება ადამიანის წარმატებისა და განვითარებისადმი. და იმიტომ, რომ ამ ძალმა, ამ მიზიდულობამ თავი გაიტანოს, მართალსა და სწორს განვითარების გზას დაადგეს, საჭიროა დაუბრკოლებელი მოქმედება, ყოველი იმისი ხელის შემშლელის წინააღმდეგობის მოსპობა და განადგურება. აი ამისთვის, რასაკვირველია, ეს მიზიდულობა, ეს ძალი უსიტყვოდ ეუბნება და ამხილებს კაცს, რომ მან არც სხვას, მისთანა მეორე არსებას, რომელსაც სახელად ადამიანი ჰქვიან, ხელი არ შეუშალოს, არავითარის მხრით არასფერი ავნოს, რადგანაც ამითი იგი თავის თავსაც ავნებს და, მაშასადამე, თავის მიზიდულობასაც წარმატებისადმი თვალ-საჩინოდ შეაფერხებს.

რაკი ადამიანში აღვიარეთ ამ ნაირი ბუნებითი მიზიდულობა წარმატებისადმი, ჩვენ მხოლოდ, მარტო აქედგან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

— პირველი, რომ ადამიანის ბუნებითი კანონიერი მოთხოვნილება არ შევიწროვდეს.

— მეორე, რომ ადამიანში არის ისეთი უხილავი ბუნებითი მიდრეკილება, რომ არც იგი უნდა ედავებოდეს და ავიწროებდეს სხვის უფლებას და მოქმედებას. ეს ისეთი მარტივი კანონი არის, რომლის ძალითაც არც ერთი ფრინველი არ იკეთებს ბუდეს იმ ადგილს, სადაც მეორე ფრინველს უკვე მოუსწრია იმის გაკეთება, ზოგიერთი პირუტყვი საძოვარს მინდვრებს იყოფენ ერთმანერთში და სხ.-და-სხ. ამ კანონსვე და მხოლოდ ამას ექვემდებარებიან ადამიანის ბუნების მიზიდულობა დამოუკიდებლობისა, თვით-არსებობისა და მყოფობისადმი, ყოველნი კეთილშობილურნი და კაცთ-მოყვარე გრძნობანი და მისწრაფებანი... რაც შეეხება ჰუმანიურ გრძნობას, საზოგადოებრივს ინსტიკტს (ალტრუიზმი) ე. ი. იმას, რომ არავის ევნოს, არავის არაფერი წაერთოს და წაეგლიჯოს ძალით—ამას, ვგონებ, ამ დედა-აზრს ჩვენ გარეულ, ტყის-ნადირებშიაც საკმაოდ ვხედავთ: მგლები ერთმანერთს როდი აკვდებიან, რომ ერთმა მეორეს მსხვერპლი წაჰგლიჯოს, არამედ ყოველი იმათგანი ცალკე, საკუთრად, თავისთვის ეძებს, ტურები ერთად გროვად დადიან, მაგრამ სისხლის ღვრა და ჩხუბი მათ შორის ძვირად შეუნიშნავთ. საზოგადოდ, ჩვენ ჯერ საკმაოდ ვერ ვიცნობთ პირუტყვთა ცხოვრებას; მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისს ბიოლოგია გულ-მოდგინედ შეუდგა ამ რთულს მასალას და რაც მეცნიერულმა გამოკვლევამ და პირუთვნელმა ანალიზმა აუწყა კაცობრიობას, ისიც საკმაოდ ამტკიცებს, რომ პირუტყვშიაც აღვიაროთ ჰუმანიურ გრძნობათა არსებობა.

მართალია, ადამიანის ბუნებითთა თვისებათ, სხვა-და-სხვა მიზეზების წყალობით, იმ თავითვე დაებნათ დავთარი და მიიღეს ცდომილი, გზა-დაბნეული მიმართულება, მაგრამ რამდენიც დრო გადის, ადამიანის ცხოვრება იმდენად უფრო და უფრო უახლოვდება თავისის - პირვანდელის არსების გონიერად გაგებას და შეგნებას. ჩვენ ახლა აღარ გვაშინებს ათას ნაირად გამხრწნელი ცრუ-მორწმუნოება და მისი გავლენა; ჩვენ ახლა განათლებულს ქვეყანათა წრეში აღარა გვყევანან სინიდისის მოვაჭრე და ტვინ-გაშეშებული ორ-ფეხა ცხოველები; ჩვენ ახლა უარს ვყოფთ მონებას და თავს აღარ ვიწონებთ იმითი, როგორც თავს-იწონებდა ძველი ქვეყანა: საბერძნეთი და რომი თავისის ფილოსოფოსებით. ჩვენ უარს ვყოფთ მას, რადგან ის წარმოადგენს ადამიანის პიროვნების ბინძურად თელვას; ჩვენ ინკვიზიციისა ხომ აღარასფერი გვრწამს. ყველა ამის უვარგისობის, ადამიანის ბუნების წინააღმდეგობის შეგნებამ დიდი ხანია მიიღო მოქალაქობრივი მოძრაობა იქ, იმ წრეში, რომელიც შეადგენს საუკეთესო ნაწილს კაცობრიობისას და, ვიტყვით, თვით კაცობრიობასაც...

თუმცა ისიც მართალია, რომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი უკანონობა ახლაც შეხვდება კაცს და შეხვდება უფრო ოსტატურად მომართული , ხოლო საზოგადოდ კი რომ ვსთქვათ, ცხადია,—ადამიანის ბუნების შეგნებამ უკეთესი ფერი და სახე მიიღო. მაგრამ... ჰმ, მაგრამ დახე ბედს! ამდენი დრო მიდის, ამდენი ძვირფასი საათი მიჰქრის და ადამიანები ჯერ კიდევ ბევრში ვერ მიმხვდარან იმას, თუ რას შეადგენს იმათ ბუნებითს მოთხოვნილებას და ერთმანერთშიაც ვერ შეთანხმებულან იმისთანა აზრის გამოსარკვევად, თუ რა არის კაცისათვის მართლა გამაბედნიერებელი და გამაუბედურებელი, გამაკეთილშობილებელი და გამაბოროტებელი. იმ აზრის გამოხატულებას—რომ ადამიანი ინსტინკტიურადაც კი ეტანება კეთილ-დღეობას, გაუკეთესობას — ყველა აღიარებს; მაგრამ სრულიად

---

*) «ივერია», № 56, 1886 წ.

ბასა და კეთებაზედ გული არ მისდის, როცა არამც თუ თავისად არ გამოელოდინება, არამედ დიდის ხნობითაც მისი ხელში შერჩენა არ ეგულება. კერძო საკუთრების დიდი ღირსება, მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთაგან ერთხმივად აღიარებული, მამულის ჭერის ხანგრძლივობაა ერთსა და იმავე ხელში, წინადვე ბოლო დაუნახველი და მაშასადამე, წამქეზებელიც ადამიანისა, რომ მის გაპატიებასა და კეთებაზედ არასფერი დაჰზოგოს.

ჩვენმა გლეხ-კაცობამ რაც კარგი რამ არის კერძო საკუთრებასა და სათემო მფლობელობაში ერთსაც ჩამოათალა და მეორესაც და ერთად შეადუღა. იმით რომ ჩვენმა გლეხ-კაცობამ მამულების დაყოფვას ვადა არ დაუდვა და დროთა-მსვლელობას კი არა, იმისთანა გარემოებაზედ მიაგდო საქმე, რომელიც კაცმა წინადვე არ იცის როდის გამოიჩენს თავს და გვიან-გვიანაც იჩენს,—მიწათ-მფლობელობას ხანგრძლიობაც კერძო საკუთრებისა საკმაოდ შეარჩინა და სათემო მფლობელობის სამართლიანი სასწორიც არამც თუ უღელში არ გადასტეხა, არამედ გაუმრუდებლად შეიმაგრა ხელში. თუ ზემო თქმულს მხედველობაში ვიქონიებთ, პასუხიც აშკარაა და მზა იმ ორის საგნის გამო, რომელიც სხვათა შორის გუშინდელს წერილში მოვიხსენიეთ, სახელდობრ: ვადა წინადვე უნდა დანიშნულიყოს სოფლის განაჩენში სამერმისოდ მამულების დაყოფვის შესახებ, თუ არა და კომლეულობაზედ უნდა დაყოფილ იქმნას სასოფლო მამული, თუ არა? ამაბზედ ჰკოს მეტი არა ითქმის-რა ჩვენში. ჩვენ საჭიროდაც ვხედავთ, კანონად დაიდვას, რომ არამც და არამც სოფელმა განაჩენში არავითარი ვადა არ მოიხსენიოს და თვითონ მამულების დაყოფვაში მარტო კომლი იყოს სახეში მიღებული და სხვა არა რა.

ი.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 11 მარტს ს.-პეტერბურგის ბირჟაზედ ტფილისის სააღგილმამულო ბანკის ფურცლები გაყიდულა 97 მან. 25 კაპ. ქუთაისის ბანკის ფურცლების მსყიდველნი ყოფილან, 96 მან. 75 კაპ. უძლევიათ, მაგრამ გამსყიდველნი არ აღმოჩენილან.

⁂ როგორც გაზ. «Кавказъ»-ს შეუტყვია, მთავარ-მმართებელს თავად დონდუკოვ-კორსაკოვს 19 მარტს მოელიან პეტერბურგიდამ.

⁂ ამ დღეებში პოლიციამ თხოვნა მიართვა ქალაქის გამგეობას, რომ გასინჯონ კნ. ბარბარე გედევანოვის ძველი სახლები, ბარიატინსკის ქუჩაზედ, თორემ, როგორც ეტყობა, სახლი გადმოქცევას აპირებსო.

⁂ ქუთაისიდგანა სწერენ გაზ. «Кавказъ»-ს: 9 მარტს აქედგან წავიდა თავის ახლად გამწესებულს ალაგას კავკასიის ოლქის ინტენდანტი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ი. იანოვსკი. ადრიანად დილითვე ქალაქში მყოფი ჩერნომორსკის პოლკის აფიცრები სამხედრო მუსიკით გაემგზავრნენ რიონის რკინის გზის სადგურზედ და დაუწყეს ლოდინი თავის ნაუფროსალს. პოეზდის წასვლის რამდენიმე წუთით წინ გრძნობიერად გამოეთხოვნენ ერთმანერთს. გენერალმა მადლობა გადაუხადა აფიცრებს ერთგულის სამსახურისთვის და გადაჰკოცნა ყოველივე ცალკედ. აფიცრებმა ხელით შეიტანეს საყვარელი უფროსი ვაგონში.

⁂ 5 მარტს, საღამოს 9 საათზედ ელისავეტოპოლის ქალაქის შუაგულში, თითქმის სამაზრო სასამართლო განყოფილების გვერდზედ, 7 შეიარაღებული თათარი გადასულან ღობეზედ და შესცვივნიან მაშადი-მამედ-ალა-ოღლის, რომელიც ამ დროს თურმე ვახშამსა სჭამდა თავისის სახლობით. ავაზაკებს შეუკრავთ ცოლქმარი და წაუღიათ რაც კი რამ საფასური ყოფილა სახლში. მაშად-მამადის სიტყვით, ავაზაკებს 2,000 მ. ფულად და 3,000 მანათის სხვა-და-სხვა ნივთები წაუღიათ. რამდენიმე საეჭვო პირი დატუსაღებულია ამ ავაზაკობის გამო. (გაზ. «Нов Обоз.»).

⁂ პოლიციის მე-4-თხე განყოფილებაში, 11 მარტს ყაზახის მაზრის მცხოვრებელს სარქის არუთინოვს და სოლომონ არუთინოვს შვეიცარიის ქვეშევრდომ ვარრონისაგან მოუპარავთ ჭიანური (скрипка) 100 მანათად ღირებული. დამნაშავენი დატუსაღებულნი არიან და მონაპარი ნაპოვნია.

⁂ 11 მარტს, პოლიციის მე-2-რე განყოფილებაში ქვრივის ნატალია პუგინოვის სახლთან მიუგდიათ ორი თვის დაბადებული ყრმა-ვაჟი. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტშია გაგზავნილი.

ნარევი

ერთმა არა-მდიდარმა აზნაურიშვილმა ისეთი თანამდებობა თურმე მიიღო, რომ ორასი თუმანი ჯამაგირი ჰქონდა.

ნათესავებმა დარიგება მისცეს აზნაურშვილს:

— მაგდენი ჯამაგირი გაქვს, მოითმინე, ფული შეინახეო.

აზნაურშვილმა უპასუხა:

— რა სათქმელია! როცა არა მქვს, მაშინაც მოვითმინო, როცა მქვს, მაშინაც მოვითმინო და როდის-ღა უნდა გადვურჩე ამ მოთმინებასაო?

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. თიანეთი, თებერვლის 25-ს. დაბა თიანეთი თითქმის გულია მთელის თიანეთის აწინდელის მაზრისა; მდებარეობა ფრიად კარგი აქვს. გვერდით ჩამოურბის იორი, გარშემო გაშლილი მინდორია, ტყე ახლო აქვს; ჭაკვა-კი ცოტა ცივია, ასე რომ ვაზი აქ არ ხეირობს, არ ხეირობს აგრეთვე კაკლის ხე, ამიტომაც ციებ-ცხელება, ხველა-სურდო და მჭვალი იშვიათი არ არის. თიანეთის მინდორი სიგრძით ექვსს ვერსამდე და სიგანით ორის ვერსიდან—ოთხ ვერსამდე. აქ არსებობენ თიანეთის სამაზრო პოლიციის სამმართველო და მომრიგებელ-სასამართლოს განყოფილება. არის ას-ოთხმოცამდე კომლი თვით თიანეთში გარდა გარეშე ახლო მდებარე წვრილ სოფლების მცხოვრებისა. აქვს მარტო ერთი ქვითკირის ეკლესია, სულ შვიდი მიკიტნის დუქანია, სამი ბაზაზისა (ფარჩეულობისა). მათ რიცხვში «შემნახველ დამზოგველ ამხანაგობის დეპო», ორი მჩოხეს დუქანი, ერთი მეჩექმესი, ერთი მებაშმაკესი, ერთი ჭონია და მეთასმ-მეუნაგირე და ერთიც ოქრო-მჭედელი. აქ გაჭრობენ თიანელები, ერწოელები, ფშავ-ხევსურები და ქისტები. გაჭრებს მოგება აქვთ უფრო ფშავლებისაგან. ყიდულობენ მათგან მატყლს, ერბოს, ყველს, მროხას, ცხვარს და ერთი ორათ ასაღებენ ფშავლებზე თავიანთ საქონელს. სახლები აქ უმეტესი ნაწილი ქვითკირისაა, კრამიტით დახურვილი, თითო სართულიანი, შიგა-და-შიგ ორ-სართულიანიც, მომეტებულად ორ-ოთახსათ დაყოფილნი. თიანეთს შორიდგან რო შეხედო მშვენიერებაა, სახლები შიგნიდამ სულ მოწყობილი და გაუმართავია: კედლები გაულესავი, ბუხარი ან სულ დიდია, ან სულ პატარა, ძირს ცარიელი დედა-მიწა, ზოგან სულ უმგზავსოთ გაფიცრულია, მაღლა კოჭები აქვს გადებული და ზედ ფიცრები აწყვია; ყველა სახლს წინ მობმული აქვს საჩეხი (მიწური კარაპანი). მიწური და ფიცრული—ზეზეური სახლებიც ბევრსა აქვს. კაცი ბევრგან ნახავს სახლის დარღვეულ კედელს, რადგანაც სამირკველს ღრმად არ უთხრიან. სახლებს გვერდით აბია საბძელ-კალოები, საძნე-გომურები და ბოსტნები. საქონლის ყოლას იმოდენათ მისდევენ, რამდენიც სამუშაოთ და შინ საყოლათ სჭირდებათ. აქაურები კამეჩის და ღორების ყოლას უფრო მისდევენ. მეტად დიდი ზარალი მისცა საქონლის ჭირმა წარსულ 1885 წელს: თითქმის ერთი მეათედი აღარ გადაურჩა; კამეჩი უფრო ხდილობდა. აქაური გლეხები სახელმწიფონი და ნაყმევნი არიან და ფრიად შევიწროებულნი არიან უმამულობით; სახელმწიფო გლეხებში მოიპოებიან ისეთნი, რომ ორის დღის მეტი არა აქვსთ სახნავი მიწა და ისიც ხრიოკი. უმამულო, სხვა რამ ხელობის არ მცოდნე თიანელი გლეხი, ძალა-უნებლივ გარდება მემამულის ხელში და საღალეთ ჰხნამს. პურის მოსავალი მეტად უხვი იცის, ამიტომაც უხვად აჯილდოებს მხვნელ-მთესველს. აქ დღიურ სახნავ მიწაზე იღებენ ან ერთ კოდ პურს, ან ორ მანათს ფულს, პურის ფასის მიხედვით. თიანელს არ ეხერხება ისე ვალის აღება, როგორც კახელს კაცს, ამიტომაც აქ ვალიანი ხალხი ცოტაა, ბევრსა აქვს გაუმართავი სახლი, მაგრამ ვერ ბედავს ვალით გამართოს. დუქნების ახლო ყოფნას ცუდი გავლენა აქვს აქაურ გლეხებზედ: უქმე დღეებში შეძლებული გლეხები ლოთაობაში და ღვინის სმაში ატარებენ დროებას. ღარიბებიც სწყალობენ ნუნუას. ვაჭრები ოთხიოდე ქართველია და დანარჩენი სომხები. მიკიტნის დუქანს სოფელი ახდევინებს ყოველ წლივ ბაჟს სამი თუმნიდამ ექვსს თუმნამდე შეძლებისა-და-გვარად. თიანელებს თავის ნაწარმოები სოფელ გარეთ არ გააქვსთ და ამისათვის არც გზები უწყობს ხელსა. აქ არსებობდნენ სასოფლო «ბანკი», «შემნახველ დამზოგველ ამხანაგობის დეპო», «სამკითხველო», ესენი როგორც უდროვოთ შობილნი, უდროვოდ დაიხოცნენ და თუ ზოგი მათგანი არ მომკვდარა, მთავარი სული მაინც დალეული აქვსთ. არსებობს აგრეთვე სასოფლო სკოლა. თიანეთში, როგორც მთავრობისაგან დამტკიცებულია, ბანაკად უნდა იდგეს ჯარი ზაფხულობით. ნამდვილად კი არ ვიცით და ამბობენ, რომ ერთი დივიზია რუსის ჯარი დადგება აქაო.

აქაურს დედა-კაცებს ზოგი ერთი ცუდი ჩვეულებისთვის თავი არ დაუნებებიათ, მაგალითად, დედა-კაცს სადედათ-წესო რომ მოუვა აქ ეძახიან «გარში მყოფს», უწმინდურად სთვლიან და მართლაც გარეზე გამოჰყავთ ან ცალკე-სახლთან მოშენებულ ქოხში, ან საბძელში და ან გომურში ამყოფებენ. სახლში არ დასტოვებენ, იმიტომ რომ ვითომ სახლს აწმინდურებენ. სწორედ ამ ცრუ-მორწმუნეობამ ამ თებერვალში სამი დედა-კაცი იმსხვერპლა, რადგან «გარედ მყოფნი» იყვნენ და სიცივით ჰკად დახდნენ.

სხვა-და-სხვა თითქმის ერთმანერთის წინააღმდეგი აზროვნობა წარმოსდგება იმის შესახებ, თუ რა უნდა შეადგენდეს კერძოდ კაცისას და საზოგადოდ კაცობრიობის ბედნიერებას, კეთილ-დღეობას:

აი, ამითი აიხსნება, სხვათა შორის, ისიც, რომ იმ ორს ზემოყვანილს თანამედროვე მსწავლულთა შორისაც ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზროვნობა დაიბადა.

«კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი—ამბობს შინაური მიმომხილველი—მარტო ადამიანის გულის-ხმის საქმეა, უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარედ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტია, მეორესთვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყვეს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? «რატომაო»?! საქმეც იმაშია, რომ მაგ «რატომს» ჯერ აქამომდე ადამიანმა გულ-დაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა». *)

ჩვენ რას ვუყურებთ ფილოსოფოსებს? დეე იმათ ერთმანეთს თავი ამტვრიონ. ჩვენ იმათ ვერ ავყვებით, ძმაო-ჯან! შინაური მიმომხილველისა არ იყვეს: «აბა პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვკითხონ, ჩვენ მდაბიოთა სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველასფერი გვენატრება, რომელნიც ყველასფერს ჯაფით, ოფლით, წვითა და დაგვით ვშოულობთ და წილად გვხდომია იმავე წვითა და დაგვით ნაშოვნ-ნაამაგევი დავიცვათ და შევირჩინოთ. ჩვენა გვკითხონ და ჩვენ ვეტყვით: რაშიაც არის აზრი, საგანი ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება,—რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთ-ნაირად გაისაზღვრება ერთიც და მეორეც ყველგან, ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში». ავტორი შემდეგის სიტყვებით ათავებს მიმოხილვას: «მე შორს, ფილოსოფიის მორევში არ შევდივარ, თავი ხომ არ მომძულებია, რომ დასახრჩობად გავიმეტო. მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა, თუ სიცილსა, განყრასა, თუ შეკრებას, დუმილსა, თუ მეტყველებას, სიყვარულსა, თუ სიძულილს, შფოთსა, თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძნისაგან». კი, მაგრამ, თუ შავი თეთრად გამოჰყავთ, თეთრი შავად და ჭეშმარიტება ილახება იმ დროს, როდესაც ერთი რომელიმე მხარე დუმილს და მშვიდობას თხოულობს, მეორე კი მეტყველებას და ბრძოლას,—მაშინ რა ჰქნას ადამიანმა, როგორ უნდა მოიქცეს იგი? — მე დარწმუნებული ვარ, რომ «შინაური მიმომხილველი» ნამდვილს გულ-დასაჯერებელ პასუხს მოგვცემდა ამ კითხვაზე, რომ ერთი საოცარი, უცნაური სენი არა სჭირდეს და რაღაც თვალ-წინ სულთა-მხუთავესავით არ ეტუზებოდეს... ტყუილად შეგიწუხებია თავი, ძმაო, და ტყუილადაც მეკითხები: საით არის ტყუილი და საით სიმართლე და ჭეშმარიტებაო? მოგიგებ ამ სიტყვებით:

«..... სულ ტყუილია, რასაც ეხლა
ჰგრძნობ...
«ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი,—
«ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ,
თვით მაგ დუმილში რა წყევლა არი!..»

ჩვენ ახლა თავი დავანებოთ ამ ნაირს მსჯელობას და გულში აქედგანვე ჩავიწვეთოთ, რომ სანამ ცოცხალი ვართ ვიმეცადინოთ: ჩვენის კეთილ-დღეობის ყოველის მხრით განვითარება და შეგნება, მშობელი ხალხის დახმარება სიტყვით, საქმით, აზრის წერით და ზეპირ გადაცემით, რადგანაც ჩვენი ვალია შევეწიოთ ვიგრძნოთ ის, რასაც მოძმე, ჩვენი მკვებელი ჰგრძნობს. «იცან თავი თვისი», «ცოდნა არის სიკეთეო».—დიდი ხანია წარმოთქვა სოკრატმა. — ვიცნოთ თავი ჩვენი, დავუახლოვდეთ ჭეშმარიტებას—და ჯვარცმულის ღმერთის ღვთიური სიტყვებისა არ იყვეს—ჭეშმარიტება განგვანათლებს ჩვენ. ახლა კი, დავმღეროთ რამე, ჩემო მეგობარო!

მე სისხლის ადუღება ვიგრძენ და ჟრუანტელმაც დამიარა ტანში ერთსა და იმავე დროს. ამ დროს მომესმა ამხანაგთა სიმღერა და ყური ჩემი გაიტაცა სანუგეშო და იმედიანმა სიტყვებმა:

«...წინ წასვლაში არ დავისვეთ,
«არ გავსწირავთ უკან ჩჩომილს;
«ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
«უღონოსა და დავრდომილს.
«უანგაროდ მივალთ წინა.

ანაზდეულად გაეღო ჩემის ოთახის კარი და ათიოდე სტუდენტმა აღტაცებულის სიმღერის: *Gaudeamus igitur*... ერთად იგრიალა. რა შევხედე ამ მეცნიერების მსახურს ყმაწვილკაცობას გული გამეღო სიხარულისა და იმედისათვის.

ხომლელი.

ქ. ოდესა, 16 იანვარს.

---

*) იხილე ჟურ. «ივერია» № 2, 1885 წ. ავტორი «შინაურის მიმოხილვისა» შეეხო ფრიად საყურადღებო საგანს, რომელსაც, ვფიქრობთ, პირველად უნდა შეჰქონდეს ქართულს მწერლობაში ამ ნაირი მსჯელობა, თუმცა ყურადღება მას არავინ არ მიაქცია. სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობა ამ უკანასკნელს დროს ისე დაეცა და განადგურდა თითქმის, რომ იმის წმინდა ტრაპეზზე უტიფრად დათარეშობენ ყოველ-გვარ მოსაზრებასა და რწმუნებას მოკლებულნი თვალთ-მაქცნი და ბაშიბუზუკნი. მწერლობის ამ ნაირის უნუგეშო მდგომარეობით აიხსნება, ჩემის აზრით, ის, რომ იმისთანა შინაარსიანი «შინაური მიმოხილვა» უყურადღებოდ დარჩა და ვერავინ ვერც ჰო, წარმოსთქვა და ვერც—არა! ავტ.

დამაკვირდი!

მხნეად მოხდება რომ ზმა მასვილ სიტყვამდე აიწიოს; სამართლიანად ამბობენ, რომ ზმა ჭკვაა მისი, ვისაც ჭკუა არა აქვსო. (ურაი)

⁂

განსაკუთრებით ორი კისერ-მოსატეხი ქვაა, რომელზედაც შემუსრება ხოლმე ბევრი წილი ადამიანი: ერთი სიყვარული და მეორე—პატივ-მოყვარეობა. (ბეშელი)

⁂

ასეთის რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთის რას მიიღებ, რომ არ დაჰკარგო? (ნიკოლოზ ბარათაშვილი)

⁂

რადგან სირცხვილი არა გაქვს, რაცა გწადიან, იტყოდი. (სარგის-მოგველი)

⁂

დამძრთ არს ცოდვა მოქმედთა
სუბუქად ჩაიტანების;
მადლი მძიმეა ამღებთა
და ზეცად აიტანების.
(არჩილ მეფე)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დიდი ხანია საჩივარი ისმის, რომ მუშა-მოჯამაგირეობაში ერთის მხრით პატრონნი მუშა-მოჯამაგირებთ და მეორეს მხრით თვითონ მუშა-მოჯამაგირე ერთმანეთს უსამართლოდ ექცევიან, ბევრს შევიწროებას აყენებენო. ამ ორში თვითეული სრულ თავის ნებაზე იქცევა, მოწინააღმდეგე არავინ ჰყავს. ბოლოს თვით მთავრობა გაერევა ამ საქმეში და ერთის მხრით მუშა-მოჯამაგირე და მეორეს მხრით პატრონი ცდილობს კანონით დაიცვას ერთმანეთის დაბრიყვებისაგან. აი ამ საგნის შესახებ რამოდენიმე საყურადღებო კანონ-დებულება, რომელიც გაზეთი «Русскія Вѣдомости»-დამ მოგვყავს.

> თუ მუშა-მოჯამაგირემ თავის ნებით ადგილს თავი დაანება, მუშა-მოჯამაგირის პატრონს ნება ეძლევა, სასამართლოს არ მიჰმართოს და პირ-და-პირ პოლიციის შემწეობით გაქცეული მუშა-მოჯამაგირე უკანვე დაიბრუნოს; პოლიციავალდებულია, ეს დარიგება დაუყონებლივ აასრულოს, თუ ამის აღსრულებას სხვა-და-სხვა შესაწყნარებელი მიზეზი არ უშლის, მაგალითად: პასპორტის უქონლობა, უგზოობა, რაიმე უბედურება, ავად-მყოფობა, ახლო ნათესავების სიკვდილი, ან თუ კიდევ ჯარში წასვლის რიგი აქვს ხვედრილი.

ამ კანონს, შეჰნიშნავს გაზეთი, დიდის-ბოროტ-მოქმედების და უსამართლოების გამოწვევა შეუძლიან, თუ მუშა-მოჯამაგირის დამჭერმა სინიდისზე ხელი აიღოვო.

> თუ მუშა-მოჯამაგირე საქმეს მოსცდა, ჯარიმა ედება, თუმცა მუშის-პატრონს აქაც სრული ნება არ ეძლევა, მაგალითად: ჯარიმა დღიურის ერთი-ორად ფასს ვერ აღემატება. თვითონ მუშასაც ნება არ ეძლევა პირ-შეკრულობაში დიდი ჯარიმა დასდოს. თუ მუშამ საქმის შესრულებამდე პირობა გატეხა და მუშაობას თავი დაანება, ჯარიმა უნდა გარდახდეს, ხოლო ეს გარდასახადი ერთი-ორად მეტი არ უნდა იქმნას იმაზედ, რაც მისი ნამუშევარი ღირს.

ზოგიერთი ამისი შესახები კანონი პირ-და-პირ კაცის თავისუფლობას ეპირის-პირებაო, ამბობს გაზეთი, მაგალითად:

> თვითონ მუშის ნება-დაურთველად, მუშის პატრონს ნება არა აქვს, მოჯამაგირის ხელთ-შეკრულობის ქაღალდი სხვა პირს გადასცეს. ცხადია, ამბობს გაზეთი, კანონს მუშის დაცვა აქვს მხედველობაში, მაგრამ აქედამ ისიც გამოდის, რომ მუშის ნება დართვით კი ეგ შეიძლება. განა კანონი უნდა ცდილობდეს ამ გვარ მუშის პირობას ძალა მისცეს? მართალია, ყველა თავისუფალი კაცი თავის ნებაზე ხელთ-ევრის სხვა კაცს; და თუ პატრონს ნება ეძლევა, მუშა სხვას გადასცეს, თუნდაც თვითონ მუშის ნება-რთვითაც,—ეს ხომ იმასა ჰნიშნავს, რომ კაცი თვითონვე ხელს იღებს თავის საკუთარ თავისუფლებაზე. ამ გვარი შემთხვევა ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ მთავრობა უნდა ეცადოს, ამ გვარ საქმეს კანონიერი სიმტკიცე არ მისცეს.

ბოლოს გაზეთი მაინც იმედეულობს, რომ ცხოვრება თითონ შეავსებს ამ კანონის ზოგიერთ ნაკლულოვანებას.

⁂

გაზეთ «Новое Время»-ს ახალი განყოფილება მოუგონია თავის მკითხველების გასართობად. ეს განყოფილება ცოტად ჩვენ «დამაკვირდი»-სა ჰგავს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩვენ «დამაკვირდი»-სთვის მასალას ვკრეფთ მთელის კაცობრიობის გონებითის საღაროდამ, გაზეთი «Новое Время»-ს კი თავისი საკუთარ თანამშრომლის განძი სრულიად საკმაოდ დაუნახავს. ჩვენი მკითხველების გასართობად, ჩვენც მოგვყავს «Новое Время»-ის ფილოსოფოსის აზრები:

> ვგლეჯ-ვმტაცებლობ, მაშასადამე ვცხოვრობ.
>
> —
>
> დავარდნილს, დაუძლურებულს სცემენ.
>
> —
>
> გროში ფული არ მქონდა, და ერთს უვეღსს ქუჩაზე კი დიდი სახლი გამოვჭიმე.
>
> —
>
> ენა-მტანიას პირველი ჯილდო (იხილე საბაყო და საქციზო წესდებულება).
>
> —
>
> მანამ ცოცხალ ვარ—ვიქურდებ,
> მოვკვდები—ხელსა ავიღებ!
>
> —
>
> ჯიბეზე თვალი გეჭიროს.
>
> —

აი «Нов. Вр.» ანდაზებიც:

> **გექილისა:** პლატონ ფილოსოფოსი ჩემი მეგობარია, თუმცა ის, ვინც გასამჭელოს მაძლევს, უფრო უკეთესს მეგობრათ მიმაჩნია.
>
> —
>
> **გლეხისა:** ვისაც ცოტა ჰქონდეს, მას უფრო მეტი გამოერთოს.
>
> —
>
> **ექიმისა:** ჩემი ხელობა ისეთი საიდუმლოა, რომ მე თვითონაც არ მესმის.
>
> —
>
> **მოხელესი:** ნეტავი ყოველ დღეს თვეში ოცი რიცხვი იყოს (ე. ი. ჯამაგირის მიღების დღე). ბერძნების მითოლოგია ორს განუყრელს, გულის-გულ მეგობარზე, სახელად ორესტსა და პილადზე, შემდეგს მოგვითხრობს: ორესტი და პილადი ერთხელ თეატრში იყვნენ და თვალი ვერ მოეშორებინათ ერთის მშვენიერ, ტურფად მორთულ ყმაწვილ-ქალისათვის.
>
> —გამიგონე ორესტო, ცოტა არ იყოს დაცინვით ჰკითხა პილადმა: გეყოლება როდისმე ამისთანა ტურფა შვილები?
>
> —რასაკვირველია, მეყოლება... როცა შენ ცოლს შეირთავ, მიუგო ორესტმა.
>
> —
>
> ერთ პირ-ქუშ, კაცობრიობის მოძულე ბრძენს ყოველ გვარი საბუთი შეუკრებია სიყვარულის წინააღმდეგ. ეს ბრძენი ამტკიცებს, რომ სიყვარულს უნდაო დიდი გულის-ძალაგება—ეს ქარაფშუტა, თავმსუბუქ კაცს არ მოეწონებაო; ძალიან ფიცხი სიცოცხლე:—ეს მშვიდ, წყნარ კაცს არ მოეწონებაო, მეტად დიდი მორცხვობა—ეს ბუნება-აღგზნებულ კაცს არ მოეწონებაო, ბევრი ხერხი და ეშმაკობა—ეს გულ-უბრყვილო კაცს არ მოეწონებაო; გატაცებული თავის-დავიწყება—ეს გონება-დამჯდარ კაცს არ მოეწონებაო; აუარებელი ხარჯი—ეს ანგარიშის მოყვარე კაცს არ მოეწონებაო; დიდი შევიწროების და დაკლების ატანა—ეს არ მოეწონება იმ კაცს, რომელსაც თავის თავი ყველაზედ ძალიან უყვარსო; დიდი ჭკუა—ეს სულელებს არ მოეწონებათ; დიდი სისულელე—ეს ჭკვიანებს არ მოეწონებათო.

უცხოეთი

ინგლისი

ჩარლზ-სტიუარტ პარნელი

პარნელს, ამ სახელ-განთქმულს მეთაურს და დაუღალავს წინამძღოლს ირლანდიის დასისას ინგლისის პარლამენტში, საკმაოდ გამოჩენილნი წინაპარნი ჰყოლია: თავს-მჯდომარე ირლანდიის პარლამენტისა 1782 წ., დიქტატორი, სამხედრო მინისტრი ლორდ გრეის პირველ მინისტრობის დროს 1830 წ. და სხვ. მაგრამ ყველა ამათი სახელი და დიდება ირლანდიის საქმისათვის მებრძოლმა დაჩრდილა. პარნელის წინაპართა სახელი დღეს თითქმის აღარავის ახსოვს და ყველა მხოლოდ ამ ამომავალის მნათობის შუქით თვალ-მოჭრილია.

საკვირველია პირველის შეხედვით პარნელის ასეთის განდიდების და სახელ-განთქმულობის ამბავი. რით დაიმსახურა ეს დიდება, ეს განუსაზღვრელი სიყვარული ირლანდიელებისა პარნელმა, რომელსაც თითქმის არაფერი საერთო არა აქვს ირლანდიელებთან? ჩამომავლობით და ტომით წმინდა ინგლისელია, სარწმუნოებით ნამდვილი პროტესტანტი, ხასიათებით კიდევ სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს ცხარე, აღგზნებულ და გულ-ფიცხს ირლანდიელებისას. თავლა თმა და წვერი გარს შემორტყმია მის თითქო სნეულს და უფითლს სახეს, წაბლის ფერი თვალები იშვიათად იღიმებიან, და როცა კი იღიმებიან, იმოდენა სიმყუდროვე ჰკრთის მის თითქო მარმარილოსაგან გამოკვეთილს ცივს სახეზე, კაცობრიობის მიმართ, რომ გგონიათ უმაღლესი არსება მოწყენილია და აგერ სადაა მოქნარება დაიწყებს, ამ მდაბიო სიკვდილის შვილებთან რადა გარო. ასე აწერს «გვირგვინ უგვირგვინოს კოროლის გარეგნობას» ლონდონელი კორესპონდენტი გაზეთისა «*Independance Belge*». პარნელი რომ ვესტ-მინისტრის სასახლეში შედისო, სრულიად ვერ იფიქრებთ, რომ საერო ტრიბუნი მოდის საზოგადოებათა პალატაში, რათა, «ო' კონელისავით ხმა-მაღლა იძახოს: სამართალს გსთხოულობ ირლანდიისათვისაო». თქვენ ერთი ვინმე გამედიდურებული ინგლისის ლორდი-არისტოკრატი გეგონებათ, რომელიც მოწყენილია, სიცოცხლით თავ-მობეზრებული და მხოლოდ ჰსურს მამა-პაპათა ადგილი დაიჭიროს პარლამენტშიო.

გიკვირსთ, რომ საზოგადოებათა პალატაში ჰხედავთ ჩუმს, გულ-ჩახვეულს, მარმარილოსაგან გამოკვეთილს პარნელს სიცოცხლით სავსე, მხიარულ და მჭევრმეტყველ, სექსტანისა, სელივანისა, ო' კონელის და სხვათა ირლანდიელ ორატორთა შორისაო. ერთ მაგალითს მოგაგონებთ, რომ უფრო ცხადად წარმოიდგინოთ, რამოდენად თავ-დაჭერილია პარნელი, რამოდენად ძლიერია მისი გონება, აზრი, და სუსტი—მისი ორატორული გატაცებაო. ერთხელ დიდხანს ლაპარაკობდა პარლამენტშიო და ისეთის შეუწყნარებელის სიტყვებით იხსენიებდა ინგლისს, რომ თავსმჯდომარემ სიტყვა გააწყვეტინა და შეაჩერაო. დაიწყეს ლაპარაკი, დაისაჯოს თუ არა ამისათვის პარნელიო. გულცივ ორატორს სიტყვა ამ წინა-დადებაზე გააწყვეტინეს: «არას დროს არ გაგონილა ისე უდიერად მოჰქცეოდეს ვინმე ერსა, როგორც»... პარნელი გაჩუმდა, გულ-ღრმა კაცივით პირ-ქუშად დაჯდა და მთელი საათ-ნახევარი ასე იყო. პარნელი არ დასაჯეს და საათ-ნახევრის შემდეგ ხელ-ახლად მისცეს ნება ლაპარაკისა. პარნელმა დაიწყო იქიდამ, რაზედაც წინად გააჩერეს: «...არ მოჰქცევიან ისე, როგორც ახლა აპირობენ მოექცნენ, როცა ამ გვარს ღონის-ძიებას ურჩევენ მმართებლობასაო», და სხვ.

მაშ რა არის მაინც მიზეზი, რომ ირლანდიელებმა ასეთი პატივი მიაპყრეს პარნელს, ბატონად გაიხადეს და ღამის კვრპად დაისვენეს?—სულ უბრალო გარემოება. პარნელი იმითი ბატონობს, რომ ყველა ის ხასიათები აქვს, რომელნიც ირლანდიელებს აკლიათ. მისი ძლიერება და ფარ-ხმალი ის არის, რომ თავ-დაჭერილია და გრძნობა არ იტაცებსო. გატაცებულნი ორატორნი და მოციქულნი ირლანდიის საქმისა, როგორც მაგალითებრ, ო' კონელი, თავიანთ ორატორულის გულ-ფიცხობით, უზომო აღტაცებით ხშირად აფუჭებდნენ ირლანდიის საქმესაო. პარნელი კი იმიტომ იმარჯვებს, რომ ყოველთვის თავ-დაკავებულია, უმთავრესს თავის საგანს თვალს არ აშორებს, გულცივად და დინჯად ჰზომავს საქმესა და ქმედობასაო. მაშინ როდესაც ო' კონელი სწყევლის საფრანგეთის თავისუფალ მოაზრეთა და ივიწყებს, რომ ამით ირლანდიის საქმეს თანაგრძნობლებს უკარგავს, პარნელს თავის დღეში არავინ არ დაუწყევლია და არ შეურაცხყოფია. პარნელი დიდად გამოცდილი კაცია. ხმასა და კენჭს სუნი ხომ არ ასდის, როცა წარმომადგენელთ ირჩევენო და ამისათვის რაც უნდა ცუდნი იყვნენ, თუ კი როდისმე საჭირონი არიან რომელიმე დასის წარმომადგენელნი, არამც თუ უნდა მივიღოთ ისინი მოკავშირეთა მეგობრულად, არამედ უნდა ვემიბდეთ მათს ამხანაგობასაო. პარიჟში ყოფნის დროს 1882 წ. დაუახლოვდა პარიჟის მთავარ-ეპისკოპოსსაც, როშფორსაცაო. პარნელი მზად არის დაიძახოს: «გაუმარჯოს ეგვლესიასაო!» «გაუმარჯოს როშფორსაო!» მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესიამაც და როშფორმაც დაიძახონ: «გაუმარჯოს ირლანდიასაო!» პარნელი ყველა ამას სჩადის იმის-და მიხედვით, რა უფრო სასარგებლოა ირლანდიისათვისაო.

«თქვენ კაცთა-მკვლელების მომხრენი ჰხართო», შესძახა ერთხელ მოთმინებიდამ გამოსულმა ირლანდიის სტატს-სეკრეტარმა ფორსტერმა პარნელის დასს. პარნელმა ნება მისცა თავის ესრედ თანამოაზრეთ ყველა თავისი ნაღველი და სიმწარე წამოენთხიათ ამ შეურაცხ-ყოფისათვის; წამოდგა მერე თვათ, გულდაწყნარებით პასუხი მისცა ფორსტერს და უმწიკვლო სიტყვებით მოიხსენია იგი, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს იმის წინააღმდეგ, რაც ფორსტერმა მათ დააბრალა. როცა პარნელი დაჯდა, მაშინვე შეეძლოთ მაინც ეთქვათ: «მაინც და მაინც პარნელი ჩვენი კაციაო.»

საკვირველია პარნელის ესლანდელი საპოლიტიკო დედა-აზრი: თავისი დასი შეჰკრიბა, მედამ პარლამენტში დაჰჯავს და თავის დასის შემწეობით ძრიელ ხელს უშლის პარლამენტს; «თქვენ უჩვენოთ ვეღარას იზამთო, ეუბნება იგი პარლამენტს, თუ ირლანდიის საქმეს არ გაკეთებთ; მაშ ვეღარას გააკეთებთო!» აღარც ბრწყინვალე სიტყვები ირლანდიის საქმის გამო, აღარც ერთი, აღარც მეორე. ამის მაგიერ სადა ხერხი, რომლითაც ღამის სისხლი გაუშრობ პარლამენტს: უადგილო აღაგას წინადადება შეაქვთ, ბევრს ლაპარაკობენ, უბრალო საქმეზედ ხუთჯერ და ექვსჯერ კენჭს ჩამოატარებენ და სხვ. ამ გვარის წვრილმანის გამოყენებით თავს აბეზრებენ პარლამენტს, რომელიც ხშირად იძულებულია ამის გამო ზოგიერთი მათი თხოვნა შეიწყნაროს ხოლმე.

დეპეშა

13 მარტს

პეტერბურგი. დღეს ხენოტის ხისხლისხამართლის კასაციონურმა დეპარტამენტმა გაზ. «Новое Обозрѣніе»-ს რედაქტორი სტეფანოვი, რომელსაც ალექსანდროპოლის სახაზო გამგეობის შეურაცხ-მყოფი სტატიის დაბეჭვდა ბრალდებოდა, გაამართლა და ტფილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება გააუქმა.

13 მარტს

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევისა, რომ მოემატოს სამხედრო სამსახურში ვადის ვადა იმათ, რომელთაც უმაღლესი და საშუალო სწავლა მიუღიათ *).

«ივერიის» ფოსტა

ს. ხ—გას დ. ნ. ბ—ძეს. თქვენს წერილს სიამოვნებით ვბეჭდავთ. კვლავაც დაგვიბეჭდავთ მანდაურს ამბებს. გამოგვიგზავნეთ ხოლმე.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქრონიკონი—ურ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქრონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა—23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოხვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

13 დღე ხუთშაბათი. ნიკიფორე პატრიარხისა კათ. ეკატერინესი. ჭეშმარიტი

---

*) ხვალ თვითეულს მუხლს ამ კანონისას მოვიყვანთ.

შუა დღე 12—6—2. ტფილისში მზე ამოდის 5—55; ჩადის 6—18. მთვარე ამოდის 12 ღ. ჩადის 9—10.

14 დღე პარასკევი. ღირს. ბენედიქტესი. კათ. მატოლდისა. მუსულმ. გარდაცვალების დღე ხალიფის აბუმეკირისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—5—43. ტფილისში მზე ამოდის 5—53. ჩადის 6—20. მთვარე ამოდის 12—12 ნღ. ჩადის 9—54.

15 დღე შაბათი. წმ. მოწ. ალაპისი და ექვსთა მოწამეთა სომ. წმ. იოანე იერუსალიმელი. მამა მთავართა სომეხთა: იოანე, ობნელი, იოანე ვოროტნელი, გრიგოლ ტათეველი. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—25 ტფილისში მზე ამოდის 5—51. ჩადის 6—21. მთვარე ამოდის 1—56. ნღ. ჩადის 10—43.

16 დღე კვირა. წმ. მოწ. საბინესი. კათ. კვირიაკისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—5—7. ტფილისში მზე ამოდის 5—50; ჩადის 6—22. მთვარე ამოდის 1—51 ნღ. ჩადის 11—32.

17 დღე ორშაბათი. ღირსისა ალექსი კაცისა ღმერთისა. კათ. გერტრუდასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—48 ტფილისში მზე ამოდის 5—48. ჩადის 6—23. მთვარე ამოდის 2—35 ნღ. ჩადის 12—26.

* * *

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	$2\frac{1}{2}$ „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	$4\frac{1}{2}$ „
მე-2 ხარისხისა	3 „
მე-3 —	$2\frac{1}{2}$ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 „
2 —	7 „
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 „
ცხვრის ხორცი	9 „

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
თაბუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

განცხადებანი

„თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა
აკაკისა,

ისყიდება მორჯის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.
(10—2)

საქართველოს
საეკლესიო ისტორია
შედგენილი მოსე ჯანაშვილის-მიერ

ისყიდება: ტფილისში შემადგენელისას (Куки, Михайл. ул. № 42, д. Г. Д. Картвелишвили) და ჩარკვიანისა და გრიქუროვის სამწიგნობროში; ყვირილას მწყემსის რედაქციაში, ქუთაისს ძმ. ჭილაძეების სამწიგნობროში.

ფასი 45 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება
საყმაწვილო სურათებიანი წიგნი
„შალვას თავ-გადასავალი“
წიგნში 33 სურათია, ფ. 20 კ.

ისყიდება გრიქუროვისა და ცენტალურს წიგნის მაღაზიაში. ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან დაიბარებს არა ნაკლებ ოცის წიგნისა, მას მანათზედ ერთი აბაზი დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, Татишвили, Акимовская ул. № 22.

ბალანსი

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვარს 1886 წლისა

აქტივი

	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
გასსა: ნაღდი ფული	14,701	46		
გირაოს ფურცლები	64,200	—	78,901	46
ფული მიმდინარე ანგარიშებზე:				
ა) სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში	60,464	14		
ბ) თბილისის კომერციულს ბანკში	19,585	73		
გ) ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში	52,496	47		
დ) კორრესპონდენტების ხელში	110,273	10	242,819	44
საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში	— —	—	30	—
სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში:				
ა) გირაოს ფურცლების გამომცემის უზრუნველ-საყოფლად (§ 50 წესდების) . . (220,000)	202,417	39		
ბ) ტირაჟში გამოსულთ გირაოს ფურცელთა და კუპონთა ზღვევის უზრუნველ-საყოფლად (50,000)	46,763	80		
გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი (39,000)	35,756	72	284,937	91
სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასსაში:				
ა) ბანკის სასაკუთრონი . .(15,100)	13,626	53		
ბ) სასტიპენდიო თანხისა .(7,300)	6,585	17	20,211	70
სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1886 წლისა.	— —	—	2,248	34
სესხნი: ა) სოფ. ადგ.-მამულ., $43\frac{1}{2}$ წლით.	922,400	—		
ბ) ქალ. მამულებზე, $18\frac{7}{12}$ წლით.	2,408,900	—	3,331,300	—
„ მოკლე-ვადიანნი	— —	—	104,920	—
მოვალენი: ა) შემოსატანი ფული, რომელსაც აქვს ლგოტა, ხანგრძლივ სესხთა მებრ	166,482	28		
მოკლე ვადიანთა სესხთა მებრ	4,700	49	171,182	77
ბ) ვადას გადაცილებული შემოსატანი ფული, ხანგრძლივთა სესხთა მებრ	32,286	77		
ფული, მოკლე-ვადიანთა სესხთა მებრ	519	02		
ჯარიმა, რომელიც ბანკის მოვალეებზედ ითვლება	2,187	17	3.4,992	96
გირაოს ფურცელნი, ვალის მოსასპობად შემოსულნი	— —		14,500	—
ვადამდე დახურდავებული კუპონები	— —		2,031	—
სხვა-და-სხვა დებიტორები	— —		87,036	75
ხარჯები: ა) დასაბრუნებელნი	— —		11,990	48
ბ) მოწყობ-მორთულობაზე.	— —		1,267	59
ბალანსი			4.388,370	40

პასსივი

	მან.	კან.	მან.	კაპ.
ძირეული თავნი	— —	—	507,181	8
სათადარიგო თანხა.	— —	—	41,168	55
თანხა: ა) საზოგადო საჭიროებათა	— —	—	618	4
ბ) სტიპენდიებისა	— —	—	6,666	87
გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: ა) $43\frac{1}{2}$ წლიანნი	922,400	—		
ბ) $18\frac{7}{12}$ „	2,408,900	—	3,331,300	„
თანხა სესხთა მოსასპობი:				
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანთა	3,438	12		
ბ) $18\frac{7}{12}$ „	59,285	53	62,723	65
„ სარგებლისა:				
ა) $43\frac{1}{2}$ წლიანთა	27,658	89		
ბ) $18\frac{7}{12}$ „	71,785	41	99,444	30
ფული, გადადებული საზღვეველად:				
ა) გირაოს ფურცელთა, ტირაჟში გამოსულთა	84,600	—		
ბ) გირაოს ფურცელთა კუპონებისა	104,604	—	189,204	—
ვადამდე მოსპობილნი სესხნი:				
ა) ნაღდი ფულით.	1,069	19		
ბ) გირაოს ფურცლებით	14,500	—	15,569	19
სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა	5,069	49		
ერთ-დროებით შემოსატანი ფული	727	30		
ყოველ-წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა თანხის შესადგენად და სხვ.	19,397	50	25,194	29
გარდასაცემი ფული	— —	—	5,041	20
სარგებლიანი ქაღალდები კასსაში:				
ა) შესანახავად	27,300	—		
ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვ..	36,900	—	64,200	—
სხვა და სხვა კრედიტორები	— —	—	247	30
ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი	— —	—	1,165	22
გადასახადი, ვადამდე შემოტანილი	— —	—	22	50
5% ლალა გირაოს ფურცელთა კუპონებისა	— —	—	22	80
წმინდა მოგება.	— —	—	38,596	41
ბალანსი			4.388,370	40

გამგეობის თავს-მჯდომარე თ. დ. ქ. დადიანი

გამგეობის წევრნი: ნ. ერისთავი
ი. ჯაიანი

ბუხგალტრის თანამდებობის ამსრულებელი ო. ხვანიძე

(1—1)

Дозволено цензурою Тифлисъ 12 марта, 1886 г. ქქ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.